შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის
სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის

ბრძანება № 01-01/11

თბილისი **"19" თებერვალი 2020 წ.**

2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში რიგგარეშე მობილობის ვადების, ვაკანტური ადგილების და წარმოსადგენი დოკუმენტების ნუსხის განსაზღვრის შესახებ:

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის დებულების მე-10 მუხლის 10.6. პუნქტის „ი" ქვეპუნქტის, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის 10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის და საფასურის დამტკიცების შესახებ" მე-2 მუხლის პირველი და მე-3 პუნქტების, მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის, ასევე სსიპ-განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის უფროსის 2020 წლის 12 თებერვლის №1.1/18 ბრძანების „შპს „თბილისის დავით აღმაშენებლის სასწავლო უნივერსიტეტის" სტუდენტებისათვის/ აბიტურიენტებისათვის რიგგარეშე მობილობის პროცესის ვადების განსაზღვრის შესახებ", გთუნი-ს სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის მე-9 მუხლის, ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტის და სამართლის ფაკულტეტის დეკანების წარდგინების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

I. დამტკიცდეს 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის რიგგარეშე მობილობის ვაკანტური ადგილები შემდეგი პროგრამების მიხედვით:

<u>ბიზნესისა და სოციალური მეცნიერებების ფაკულტეტი</u>

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

- ბიზნესის ადმინისტრირება - (მენეჯმენტი, მარკეტინგი, ფინანსები) - 50 ადგილი;

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამები:

- საერთაშორისო ბიზნესის მენეჯმენტი - 10 ადგილი;
- კერძო სამართალი - 3 ადგილი;
- სისხლის სამართალი - 3 ადგილი;

II. დამტკიცდეს 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის რიგგარეშე მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადები შემდეგი ფორმით:

1. რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ სტუდენტთათვის ვაკანტური ადგილების შესახებ წერილობითი განაცხადის მართვის სისტემაში (თანდართული ელექტრონული ფორმით) წარდგენის ვადა - **2020 წლის 17 თებერვლიდან 2020 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.**

2. 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა უნივერსიტეტში რეგისტრაციის ვადები:

- სტუდენტის რიგგარეშე მობილობის თაობაზე წერილობითი განაცხადისა და პირადი საქმის ასლების წარდგენის ვადა - **2020 წლის 24 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით;**
- უნივერსიტეტში რიგგარეშე მობილობით გადმოსვლის სტუდენტთა კრედიტების აღიარება და გაცნობა **2020 წლის 24 თებერვლიდან 28 თებერვლის ჩათვლით;**
- რიგგარეშე მობილობის წესით ჩასარიცხ პირთა სამართლებრივი აქტების პროექტების (თანდართული ელექტრონული ფორმით) მართვის სისტემაში წარდგენის ვადა - **2020 წლის 4 მარტიდან 10 მარტის ჩათვლით;**
- სტუდენტთა რიგგარეშე მობილობის წესით ჩარიცხვის თაობაზე ბრძანების გამოცემის ვადა - **2020 წლის 16 მარტი**

III. განისაზღვროს 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის რიგგარეშე მობილობის პროცესში მობილობის მსურველთა მიერ წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა:

- განცხადება (რექტორის სახელზე);
- სტუდენტის პირადი საქმის ასლები:
  - სრული ზოგადი/უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - პირადობის მოწმობის ასლი;
  - სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
  - სტუდენტის სტატუსის განმსაზღვრელი ყველა სამართლებრივი აქტი;
  - სტუდენტის სასწავლო ბარათი (დამოწმებული ფაკულტეტის ბეჭდით და დეკანის ხელმოწერით).

IV. 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის რიგგარეშე მობილობით გადმოსული სტუდენტებისათვის წლიური სწავლის საფასური შეადგენს 1800 ლარს.

V. 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრის რიგგარეშე მობილობით განპირობებული განსხვავებული კრედიტების ათვისება მოხდეს უფასოდ.

VI. მობილობის მსურველთა მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიღება დაევალოს შესაბამის ფაკულტეტს.

VII. უნივერსიტეტში გადმოსვლის მსურველთა კრედიტების აღიარება დაევალოს უნივერსიტეტის შესაბამის ფაკულტეტს სასწავლო განყოფილებასთან შეთანხმებით.

VIII. ბრძანების უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილებას.

IX. დაევალოს კანცელარიას ბრძანება გადასცეს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებს.

X. ბრძანება ძალაში შევიდეს ხელმოწერის დღიდან.

შპს გურამ თავართქილაძის სახელობის
თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

გიორგი მათიაშვილი